საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და
საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

05.04.2024
N 567

567-09-02-11-3-202404051233

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ **გიორგი ბერიძეს**

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის

დ ა ს კ ვ ნ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/59, 21.02.2024)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის 2024 წლის 5 აპრილის სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილულ იქნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (№09-01-08/59, 21.02.2024).

I. საკანონმდებლო ცვლილების ძირითადი არსი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტის თანახმად:

- უმაღლეს საბჭოში წესდება ახალი სახის ჯილდოები, როგორიცაა უმაღლესი საბჭოს ორდენი და უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი;
- ერთმანეთისგან იმიჯნება უმაღლესი საბჭოს მედლის მიმღები სუბიექტები;
- უმაღლესი საბჭოს ჯილდოების მიმღები სუბიექტები იქნებიან: უმაღლესი საბჭოს ორდენი - გადაეცემა საქართველოს ან სხვა სახელმწიფოს მოქალაქეს უმაღლესი საბჭოს, როგორც ინსტიტუციის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; უმაღლესი საბჭოს მედალი - გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელს უმაღლესი საბჭოს საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის; უმაღლესი საბჭოს სამკერდე ნიშანი გადაეცემა უმაღლესი საბჭოს აპარატის თანამშრომელს უმაღლეს საბჭოში არანაკლებ 25 წლიანი წარმატებული სამსახურისთვის;

- უმაღლესი საბჭოს ჯილდოთი დაჯილდოებული პირისთვის წესდება ფულადი ჯილდოს გადაცემის შესაძლებლობაც, რომლის ოდენობას (თითოეული ჯილდოსთვის ცალ-ცალკე) დაადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე;

- გათვალისწინებულია უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის ცალკეული ნორმების დახვეწა, ასევე თავდაცვის ახალი კოდექსის შესაბამისი ნორმების უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ასახვა.

II. რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საკომიტეტო განხილვამდე გამოთქმული მოსაზრება/შენიშვნა

რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს (სავალდებულო კომიტეტი), ასევე უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნიათ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე, რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით კომენტარის სახით მოსაზრება/შენიშვნა არ დაფიქსირებულა.

III. საკანონმდებლო ცვლილების შეფასება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს რეგლამენტის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.

დასკვნითი ნაწილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 91-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრების დავით გაბაიძის და ვლადიმერ მგალობლიშვილის მიერ ინიცირებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვისათვის მომზადებულად მიიჩნია.

პატივისცემით,

ვლადიმერ მგალობლიშვილი

კომიტეტის თავმჯდომარე